MES 7 22 0000509833

18/05/2022

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:**
**1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**
**დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
**თამარ მამსიკაშვილი** - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
**მანანა ჯინჭარაძე** - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
**გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
**ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
**პერტე ბაბილუა** - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
**მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
**ეკატერინე კვირიკაშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
**ზვიად გოგუაძე** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
**ია გიგიბერია** - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
**ნატო გაბოშვილი** - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
**შალვა მეკრავიშვილი** - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

**2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**
**ნინო ჟვანია-** ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**თამარ შენგელია** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
**თამარ რატიანიძე** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

კოორდინატორი;
**მზია ყანჩელი** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**გვანცა მეტრეველი** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
**დავით მღებრიშვილი** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

**3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**
**შპს განათლება**
ქეთევან გოშხეთელიანი - სკოლის წარმომადგენელი

**სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხტის საჯარო სკოლა**
ნადიმ ხოზრევანიძე - სკოლის დირექტორი

**შპს ფარნავაზი**
მადონა ოქროპირიძე - სკოლის წარმომადგენელი
სოფიო მართალიშვილი - სკოლის წარმომადგენელი
ზვიად ბერიძე - სკოლის წარმომადგენელი

**შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესი**
დავით კახნიაშვილი - სკოლის დირექტორი

**4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):**
**შპს განათლება**
ნოდარ ანგურიძე
ნინო მჭედლიშვილი

**სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხტის საჯარო სკოლა**
ნოდარ ანგურიძე
მაკა ტუკვაძე

**შპს ფარნავაზი**
ლელა ჯაში
მარინე ჯანაშვილი

**შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესი**
ნოდარ ანგურიძე
სერგო დურგლიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 11 მაისს

ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:**

1. შპს განათლების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ფარნავაზის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

## 1. შპს განათლების ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნოდარ ანგურიძემ და ნინო მჭედლიშვილმა.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ მისი და ექსპერტ, ნინო მჭედლიშვილის ვიზიტი შპს განათლებაში განხორციელდა 2022 წლის 24 და 25 მარტს, სრულიად დისტანციურ

ფორმატში. ასევე, მისი თქმით, სკოლის წარმომადგენლების დახმარებით, დისტანციურ ფორმატში, ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის მატერიალური რესურსი. ექსპერტის , ცნობით, სკოლა მდებარეობდა ქ. ბათუმში. სკოლაში ირიცხებოდა 171 მოსწავლე, თუმცა სკოლის სურვილი იყო ჰყოლოდა 271 მოსწავლე. ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში სწავლა ხორციელდებოდა ორ ცვლაში, I-IX კლასებში მოსწავლეები სწავლობდნენ პირველ ცვლაში, X-XII კლასებში კი სწავლობდნენ მეორე ცვლაში. ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ X-XII კლასის მოსწავლეებისათვის სწავლა იწყებოდა 13:05 საათზე. ექსპერტმა აქვე დასძინა, რომ სკოლის საათობრივი ბადე მხოლოდ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნებით შემოიფარგლებოდა და სკოლას მესამე მოდელის საათობრივი ბადე არ ჰქონდა. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ სკოლა ასწავლიდა არჩევით საგნებს, , გერმანულ ენას X და XII კლასებში, XI კლასში არჩევით საგნად ისწავლებოდა დასავლური ლიტერატურა. სკოლაში ფუნქციონირებდა 6 კათედრა. ექსპერტის განცხადებით, სკოლაში ხორციელდებოდა რეიტინგული წერები, რომლებიც უფრო დიაგნოსტიკური იყო თავისი შინაარსიდან გამომდინარე. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა წლიური გამოცდები, ხოლო შემაჯამებელი წერები ხორციელდებოდა სემესტრის დასრულებამდე. ექსპერტის თქმით, ეს იყო ის მნიშვნელოვანი დეტალები, რომელიც სკოლას ახასიათებდა.

სკოლის მატერიალური რესურსის შესახებ, ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ ის შეისწავლეს სკოლის მიერ გადმოგზავნილი შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზის მიხედვით და, ასევე, იხელმძღვანელეს დაწესებულების მიერ გამოგზავნილი ვიდეო მასალით. ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას მოახსენა, რომ სკოლა იყო სამსართულიანი, სადაც იყო 12 საკლასო ოთახი, გარდა ამისა, იყო ხელოვნების ოთახი და ლაბორატორია. მან დაამატა, რომ კლასებში იდგა 244 მერხი, ხოლო დამატებით 35 მერხი სკოლას ჰქონდა დასაწყობებული.

ექსპერტის თქმით, ორ ცვლაში სწავლება იყო პრობლემატური საკითხი, თუმცა აქვე სკოლის დირექტორმა , ქეთევან გოშხეთელიანმა, განაცხადა, რომ სკოლაში სწავლება ორ ცვლაში ხორციელდებოდა პანდემიის გამო, რადგან სკოლას აეცილებინა მოსწავლეთა დიდი ნაკადი, მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე. ამჟამად, პედაგოგიკური საბჭოს მიერ სასკოლო სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, სკოლაში სწავლება მიმდინარეობდა ერთ ცვლაში.

ექსპერტ, ნოდარ ანგურიძის თქმით, დაწესებულება ფლობდა სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. სკოლას ჰქონდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები. ასევე, მან დაამატა, რომ სკოლაში დაცული იყო მოსწავლეთა და თანამშრომელთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ექსპერტის განმარტებით, სკოლას ჰყავდა 51 თანამშრომელი, მათ შორის იყო 31 პედაგოგი. ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ შინაგანაწესში არ იყო განსაზღვრული დისციპლინური დევნისა და დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უფლებამოსილი ორგანო. თუმცა, მისი თქმით, დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტის საფუძველზე წარმოდგენილ, არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნული იყო, რომ მათ შეიტანეს ცვლილება დოკუმენტში. მაგრამ ექსპერტის განმარტებით, ეს ცვლილება არ იყო შინაგანაწესში ასახული. ექსპერტების მხრიდან, სკოლას მიეცა რჩევა, განსაზღვრულიყო დისციპლინური დევნის განმახორციელებელი და დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე შესაბამისი უფლებამოსილი პირი ან/და სტრუქტურული ერთეული.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენელთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ჩამოეთვალათ ის აქტივობები, რომლებსაც ახორციელებდა სამოქალაქო განათლების კლუბი „იმედი“. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა ქეთევან გოშხეთელიანმა განმარტა, რომ სამოქალაქო განათლების კლუბი ,,იმედი“ 2014 წლიდან ფუნქციონირებდა სკოლაში. მათ ჰყავდათ ხელმძღვანელი/მეურვე, რომელიც 2018 წელს სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა ფორუმის მიერ დასახელებულ იქნა, როგორც

საუკეთესო კლუბის მეურვე. სკოლის დირექტორის თქმით, მათ არაერთ პროექტში ჰქონდათ მონაწილეობა მიღებული და წარმატებული შედეგებიც აჩვენეს. გასულ წელს, სკოლამ გაიმარჯვა და შესაბამისი ჯილდოც მოიპოვა ,,მომავლის თაობის“ პროექტის ფარგლებში. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, პანდემიის რეჟიმში კლუბის შეხვედრები ონლაინ რეჟიმში ტარდებოდა და ყველაფერი ეს განთავსებული იყო სკოლის ვებ-გვერდსა და კლუბის მასალებში.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კომენტარის სახით დაამატა სკოლაში არსებული საგანმანათლებლო კლუბ იმედის შესახებ, რომ მან შეამოწმა აღნიშნული კლუბის ვებ-გვერდი და დაასკვნა, რომ ის საკმაოდ აქტიური იყო. აქვე, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, აეხსნათ, რისთვის იყენებდა სკოლა რეიტინგულ წერებს და როგორ ხდებოდა მათი ანალიზი. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, ქეთევან გოშხეთელიანმა განმარტა, რომ აღნიშნული წერები იყო დიაგნოსტიკური ხასიათის, რომელთა ანალიზიც პედაგოგიური საბჭოს მიერ ხორციელდებოდა. ქეთევან გოშხეთელიანის განმარტებით, აღნიშნული წერები ეხმარებდა სკოლას საჭიროებების გამოკვეთასა და კორექტირებაში. დირექტორის განცხადებით, სკოლა 2012 წლიდან 2019 წლამდე თანამშრომლობდა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, რომელიც ცოდნის დონის შესამოწმებელ ტესტებს ატარებდა სკოლის მოსწავლეებთან. ტესტირების შედეგად მიღებული დასკვნები და შედეგები სკოლას ეხმარებოდა მომავალი წლის სასწავლო პროცესის დაგეგმვაში.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ მიმართა სკოლას, თუ რა ტიპის ტესტები იყო დიაგნოსტიკური ტესტები, რომლებსაც იყენებდა სკოლა. სკოლის დირექტორის თქმით, აღნიშნული ტესტები არ იყო რეიტინგის განმსაზღვრელი და ის იყო მრავალფეროვანი და სხვადასხვა სახის.

საბჭოს წევრი, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, თუ რომელ კლასებში ჩაატარა სკოლამ დიაგნოსტიკური წერა და ჰქონდა თუ არა სკოლას აღნიშნული ტესტების ჩატარება ყოველწლიურად დაგეგმილი. კითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, ქეთევან გოშხეთელიანმა განმარტა, რომ ტესტი გასულ სემესტრში ჩაატარეს მე-VII, მე-VIII, მე-IX და მე-X კლასებში. ასევე, ქეთევან გოშხეთელიანის განმარტებით, სკოლას დაგეგმილი ჰქონდა თვის ბოლოს ტესტის ჩატარება. ტესტირების შესახებ ინფორმაცია კი ჰქონდათ, როგორც მოსწავლეებს, ასევე მათ მშობლებსაც. მან დაამატა, რომ ტესტირება ჩატარდა ქართულ და ინგლისურ ენებში, აგრეთვე, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში. საბუნებისმეტყველო საგნებიდან თავად მოსწავლეებმა აარჩიეს მათივე სურვილის მიხედვით კონკრეტული საგნები.

თამარ მამსიკაშვილმა მიმართა ქეთევან გოშხეთელიანს შეკითხვით, გაითვალისწინეს თუ არა სკოლის შინაგანაწესში ექსპერტების მიერ მიწოდებული რჩევები დისციპლინური სახდელის შესახებ. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა ქეთევან გოშხეთელიანმა განმარტა, რომ სკოლამ რჩევები გაითვალისწინა და შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა დოკუმენტში პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 271 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს განათლებისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 271 - ით განსაზღვრის საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 21 ივნისის N26 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 21 ივნისიდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა

შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 21 ივნისს.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.
**კენჭისყრისშედეგები:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს განათლებას (ს/კ: 245436568) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 271 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 21 ივნისი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

**2. სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნოდარ ანგურიძემ და მაკა ტუკვაძემ. ექსპერტ, ნოდარ ანგურიძის თქმით, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 18 და 19 აპრილს. მან მოკლე მიმოხილვა გააკეთა სკოლის ადგილმდებარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, სკოლა საგანმანათლებლო მომსახურებას გაუწევდა არა მარტო სოფელ კოხტას მოსახლეობას, არამედ მიმდებარე სოფლების მოსახლეობასაც. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ სკოლა თავდაპირველად განკუთვნილი იყო დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის, თუმცა შემდეგ ბრძანებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც სკოლა გათვლილი იყო როგორც დაწყებითი და საბაზო, ასევე, საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. ექსპერტის განმარტებით, სკოლა დაფუძნებული იყო 2021 წლის 15 აგვისტოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 75/ნ ბრძანების საფუძველზე. მან დაამატა, რომ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით, ამავე დღეს იქნა დანიშნული ნადიმ ხოზრევანიძე სკოლის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად.,
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ სკოლა გადიოდა პირველადი ავტორიზაციის პროცესს, შესაბამისად მას არ ექნებოდა შემაჯამებელი სამუშაოები, თუმცა ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებული იყო სკოლაში ოთხი კათედრის არსებობა. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ

აღნიშნა, რომ სკოლა ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში გეგმავდა ახალი სკოლის მოდელის პროექტში ჩართვას და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში მონაწილეობას.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებითაც და განმარტა, რომ სკოლაში იყო 12 საკლასო ოთახი, მათგან ერთ საკლასო ოთახში, ამავე დროს ,განთავსებული იყო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. ექსპერტის თქმით, სკოლის მფლობელობაში იყო გადაცემული ვირტუალური ლაბორატორია. მისი თქმით, სკოლაში იყო 70 მერხი და შესაბამისი სკამი, 5 მერხი იყო დასაწყობებული. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული რაოდენობა გამომდინარეობდა იქიდან, რომ სკოლამ წინასწარ იცოდა, თუ რამდენი მოსწავლე იყო მსურველი. ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ სკოლამ წარმოადგინა, წალკის რესურსცენტრის უფროსის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიტრისთვის მიწერილი წერილი, სსიპ-წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხტის საჯარო სკოლისთვის, 30 მერხის მოთხოვნის შესახებ. აგრეთვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა იყო ერთ ოთახში განთავსებული. ასევე, ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლაში იყო მოწესრიგებული სველი წერტილები გოგონებისთვის და ბიჭებისთვის. მან აღნიშნა, რომ სკოლაში იყო ადაპტირებული სველი წერტილი შშმ პირებისთვის.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ ა დასძინა, რომ სკოლას არ ჰქონდა დამტკიცებული შინაგანაწესი, რადგან სკოლაში არ იყო სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა დამტკიცებული. ექსპერტის რჩევით, სკოლამ მიმართა რესურსცენტრს კონსულტაციისთვის, რის შედეგადაც სკოლის დირექტორმა დაამტკიცა სკოლის შინაგანაწესი. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ, ასევე ისაუბრა სკოლის ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა 24 მასწავლებელი, რომელთაგანაც 5 იყო წამყვანი სტატუსის მქონე მასწავლებელი, 8 უფროსი სტატუსის მქონე, 1 მაძიებელი მასწავლებელი და 10 უსტატუსო მასწავლებელი. აქვე, მან დაამატა, რომ აღნიშნული 10 უსტატუსო მასწავლებელი სკოლას აყვანილი ჰყავდა კანონის შესაბამისად. აგრეთვე, მან აღნიშნა, რომ სკოლის პედაგოგების პირად საქმეებში სრულად არ იყო წარმოდგენილი „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის“ შესახებ ცნობები. ასევე, ექსპერტის თქმით, მათ მიერ სკოლას მიეცა რჩევა ეზრუნათ არა მხოლოდ მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე, არამედ სკოლას ეზრუნა ზოგადად დაწესებულების ადამიანური რესურსის პროფესიულ განვითარებაზე.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ დაამატა, რომ სკოლაში იყო უსაფრთხო გარემო. ასევე, მან აღნიშნა, რომ სკოლის თითოეულ სტრუქტურულ რგოლს ჰქონდა საკუთარი სამუშაო სივრცე, რომელიც სრულად იყო აღჭურვილი. მაკა ტუკვაძემ, განმარტა, რომ სკოლის პედაგოგები, მოცემულ ეტაპზეც, უკვე ჩართული იყვნენ სხვადასხვა პროექტში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა დაწესებულებას და ექსპერტებს, თუ როგორ მოახერხა სკოლამ ამდენი წამყვანი და უფროსი სტატუსის მქონე მასწავლებლის მობილიზება. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ აღნიშნული მასწავლებლები იყვნენ პროგრამა „ასწავლე საქართველოს“ მასწავლებლები. შესაბამისად, მისი თქმით, აღნიშნული პროექტის მასწავლებლები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ შესაბამის რეგიონში. ექსპერტმა, აქვე დაამატა, რომ აღნიშნული მასწავლებლები გამოირჩეოდნენ მაღალი პროფესიონალიზმით.
საბჭოს წევრმა, მანანა ჯინჭარაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ როგორი იყო აღნიშნული პროგრამის მიღმა მყოფი ადგილობრივი მასწავლებლების მდგომარეობა ქართული ენის ცოდნასთან დაკავშირებით. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ სკოლაში დასაქმებული იყვნენ ეროვნებით ქართველი მასწავლებლები, თუმცა, თემი იყო მრავალფეროვანი.
სკოლის დირექტორმა, ნადიმ ხოზრევანიძემ განმარტა, რომ სასწავლო პროცესი წარიმართებოდა ქართულ ენაზე, თუმცა სკოლას ჰყავდა ერთი არაქართულენოვანი მოსწავლეც,

რომელთანაც იმუშავებდა პროგრამა „ქართული ენა, როგორც მეორე უცხო ენა“-ს მასწავლებელი. ნადიმ ხოზრევანიძემ აღნიშნა, რომ სკოლისთვის ამ მასწავლებელთან თანამშრომლობა იყო ფასეული.
საბჭოს წევრმა, მანანა ჯინჭარაძემ კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, თუ იყო შემაფერხებელი ფაქტორი სკოლისთვის „ასწავლე საქართველოს“ პროგრამის მონაწილე მასწავლებლებთან თანამშრომლობა, რადგან მათ მოუწევდათ ერთდროულად ორ სკოლაში საქმიანობა. სკოლის დირექტორმა, ნადიმ ხოზრევანიძემ განმარტა, რომ აღნიშნული ფაქტი ხელს შეუწყობდა სკოლებს შორის მრავალფეროვან და აქტიურ თანამშრომლობას. გარდა ამისა, მან დაამატა, რომ სკოლამ კონკურსი გამოაცხადა სასწავლო წლის შუა პერიოდში და შესაბამისად, რეგიონში თითქმის ყველა კვალიფიციური კადრი უკვე დასაქმებული იყო. აქვე, ნადიმ ხოზრევანიძემ ხაზი გაუსვა დაწესებულების ადამიანური რესურსის მაღალ პროფესიონალიზმს.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს სპორტულ დარბაზთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა სპორტული დარბაზი და აინტერესებდა, თუ რა გეგმა ჰქონდა დაწესებულებას აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად. სკოლის დირექტორმა, ნადიმ ხოზრევანიძემ განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა ღია სპორტული მოედანი, ხოლო შენობაში იყო მხოლოდ ჩოგბურთის მაგიდა და შესაბამისი აღჭურვილობა. აგრეთვე, მან დაამატა, რომ სამომავლოდ სკოლას ჰქონდა გეგმა დაწესებულების ეზოში აეშენებინა ცალკე მდგომი შენობა, სადაც განთავსდებოდა სპორტული დარბაზი, რომელსაც გამოიყენებდა სკოლა როგორც საგანმანათლებლო მიზნებისთვის, ასევე, დამატებითი, სხვადასხვა წრეების მომსახურეობისთვის.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა ხაზი გაუსვა საჯარო სკოლის დაფუძნებისა და ავტორიზაციის საკითხის მნიშვნელობას. მან კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, თუ რა გეგმა ჰქონდა დაწესებულებას სკოლის ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით. სკოლის დირექტორმა, განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა დაგეგმილი როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე ადმინისტრაციის წევრებისთვის ტრენინგების გავლა.
საბჭოს წევრმა, ია გიგიბერიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რამდენად იყო სკოლის ლაბორატორია აღჭურვილი ქიმიური ნაერთებით, რომლებიც საჭირო იყო საგნებში ცდების ჩასატარებლად. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ სკოლას შეძენილი ჰქონდა რეალურ-ვირტუალური ლაბორატორია. აქვე, ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ დაამატა, რომ სკოლას ჰქონდა გამოყოფილი ცალკე ოთახი ლაბორატორიისთვის, რომელიც იყო სრულად აღჭურვილი და დამატებით ჰქონდა სკოლას შეძენილი რეალურ-ვირტუალური ლაბორატორია, სრული სქემებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 90 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხტის საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90 - ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო საბჭოს

სხდომის ჩატარების დღესვე, 2022 წლის 11 მაისიდან. დაწესებულების შუამდგომლობის საფუძველს წარმოადგენდა მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების დაცვა, მაღალი მომართვიანობა ფიქსირდებოდა აღნიშნულ სკოლაში სწავლასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხტის საჯარო სკოლას (ს/კ: 24312750) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 11 მაისი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს სხდომაზე 16:30 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:55 საათზე.

**3. შპს ფარნავაზის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ჯაშმა და მარინე ჯანაშვილმა. ექსპერტმა, ლელა ჯაშმა საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. პირველი მათგანი ეხებოდა, სკოლის საათობრივ ბადეს. ექსპერტის განმარტებით, სკოლას პირველი კლასის პირველ სემესტრში დამატებული ჰქონდა ინგლისური ენა. ექსპერტთა აზრით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან უნდა შეეთანხმებინა დაწესებულებას მოცემული საკითხი. მან აქვე დაამატა, რომ სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საათობრივ ბადესთან დაკავშირებით და არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა სამინისტროს თანხმობის წერილი. ექსპერტის, აზრით, სკოლას მოწესრიგებული ჰქონდა დოკუმენტაცია და შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. დაწესებულება დისტანციურ რეჟიმში წარმატებით ახორციელებდა სწავლებას და დამატებით მეცადინეობებსაც უტარებდა მოსწავლეებს.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა ისაუბრა მატერიალურ რესურსზეც. მისი თქმით, სკოლის შენობა 5 სართულიანი იყო, მაგრამ იჯარით მხოლოდ 4 სართული ჰქონდა გადაცემული. ასევე, დაწესებულებას ეკუთვნოდა შიდა და გარე მოედანი, რომელსაც აქტიურად იყენებდა საგანმანათლებლო მიზნებისთვის. ექსპერტ, ლელა ჯაშის თქმით, სკოლაში არსებობდა ლიფტი, მაგრამ ექსპლუატაციაში არ იყო შესული ვიზიტის ფარგლებში.

ექსპერტმა, ისაუბრა ადამიანურ რესურსზეც. მისი განმარტებით, სკოლაში იყო 31 მასწავლებელი, რომელთაგან 13 იყო სტატუსის არმქონე მასწავლებელი. აქვე, მან დაამატა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა მოცემული ხარვეზი და პედაგოგთა დიდი ნაწილი დარეგისტრირდა მასწავლებლის გამოცდაზე, ხოლო დანარჩენ ვაკანტურ ადგილებზე გამოცხადდა ვაკანსია. აგრეთვე, ლელა ჯაშმა ისაუბრა ორ მასწავლებელთან დაკავშირებით. ექსპერტის თქმით, მათ პირადი საქმის დოკუმენტაციით, წარმოდგენილი დიპლომით და საგნობრივი გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი ცნობით კანონით უნდა ჰქონოდათ უფროსი მასწავლებლის სტატუსი, მაგრამ სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემაში არ იყო ასახული მათი სტატუსი. შესაბამისად, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე, სკოლამ მიმართა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს აღნიშნულის მოსაგვარებლად. ექსპერტის თქმით, მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათი სურვილი, რომ სკოლაში ყოფილიყო ფსიქოლოგი. აქვე მან დაამატა, რომ დაწესებულებას ამ თანამდებობაზეც გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა აღნიშნა, რომ სკოლას უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი არ ჰქონდა შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, მაგრამ ვიზიტის პერიოდში მათ უკვე გაგზავნილი ჰქონდათ წერილი ამ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის საუკეთესო პრაქტიკა იყო ის, რომ წარმატებული უფროსკლასელი მოსწავლეები ეხმარებოდნენ უმცროს კლასელ მოსწავლეებს დავალებების მომზადებაში.

დაწესებულების დირექტორმა, მადონა ოქროპირიძემ ისაუბრა ლიფტთან დაკავშირებით. მისი თქმით, ლიფტი ფუნქციონირებადი იყო, მაგრამ დაწესებულებას მიღება-ჩაბარების აქტი არ ჰქონდა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში. ამიტომ ექსპლუატაციაში არ იყო შესული. თუმცა, აღნიშნული საკითხი უკვე მოგვარებული იყო. დირექტორის თქმით, 2 მასწავლებელზ,ე სტატუსთან დაკავშირებით, უკვე მიმართა დაწესებულებამ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფიო მართალიშვილმა ისაუბრა დაწესებულებაში ფსიქოლოგის არსებობის საკითზე. მისი თქმით, უკვე გამოცხადებული იყო ვაკანსია, თუმცა შესაბამისი კადრის მოძიება ვერ ხერხდებოდა. ასევე მან აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში სკოლა იწვევდა ფსიქოლოგებს და მათთან კომუნიკაციის შესაძლებლობა ჰქონდა ნებისმიერ მსურველს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად ბერიძემ ისაუბრა უსაფრთხოების და საზოგადოებრივ წესზე. მან განმარტა, რომ სამინისტროსთან გაგზავნილი ჰქონდათ წერილი ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეთანხმების პროცესში იყო. შეთანხმების შემდგომ წარმოდგენილი იქნებოდა ყველა ის დოკუმენტი, რაც რეკომენდაციის ფარგლებში გაიცა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდათ განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 253 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ფარნავაზისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 253 - ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 21 ივნისის N27 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 21 ივნისიდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 21 ივნისიდან.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.
**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
**გადაწყვეტილება:**
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ფარნავაზს (ს/კ: 246952427) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 253 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 21 ივნისი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.
საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, ცენტრში წარმოედგინა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი დაცვის წესი. ასევე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიდან ორი უფროსი სტატუსის მქონე მასწავლებლის სტატუსის დამამტკიცებელ დოკუმენტთან დაკავშირებული პასუხი.
აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაცია და დამადასტურებელი დოკუმენტაცია დაწესებულებას ცენტრში უნდა წარმოედგინა შესაბამისი უწყებებისგან უკუკავშირის მიღებისთანავე.

**4. შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნოდარ ანგურიძემ და სერგო დურგლიშვილმა.
ექსპერტ, ნოდარ ანგურიძის თქმით, სკოლის საუკეთესო პრაქტიკა იყო ის, რომ სკოლა დაარსებული იყო 28 წლის წინ, რა დროსაც ჰყავდა 7 მოსწავლე, ხოლო ვიზიტის პერიოდში

მოსწავლეთა რაოდენობა 1239-ს შეადგენდა. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა შესყიდული საჯარო სკოლის შენობა, ამიტომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან დადებული პირობების მიხედვით, სკოლას ჰქონდა ვალდებულება სწავლის საფასურის გადახდის გარეშე, მილევად რეჟიმში დაესრულებინა სკოლა 38 მოსწავლეს.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ სკოლა იყენებდა საათობრივი ბადის მესამე მოდელს, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან იყო შეთანხმებული. მისი თქმით, სკოლაში ფუნქციონირებდა ფიზიკა-მათემატიკის კლასები, სადაც სხვა კლასებთან შედარებით გაზრდილი იყო ამ საგნების საათობრივი დატვირთვა. ამავე კლასებში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულთან შედარებით ბარიერის დაძლევა განსხვავებული იყო. მოცემულ კლასებში გამოცდის ტიპებიც განსხვავდებოდა. ექსპერტის განმარტებით, წლიური გამოცდის ვერ ჩაბარების შემთხვევაში მოსწავლე სკოლიდან არ ირიცხებოდა, ის ჩვეულებრივ კლასებში ირიცხებოდა. ექსპერტის თქმით, სკოლაში შემაჯამებელი დავალებების ანალიზი კეთდებოდა. აქვე მან დაამატა, რომ სკოლას ახალი სკოლის მოდელით მუშაობა დაწყებული ჰქონდა, მაგრამ არაორგანიზებულად. ცალკეული კათედრები ცდილობდნენ ამ კუთხით განვითარებას. ექსპერტებმა რჩევა მისცეს დაწესებულებას, რომ მეტად ყოფილიყო დოკუმენტებში ლოგიკური ჯაჭვი. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ ისაუბრა სკოლის წრეობრივ მუშაობებზე, მისი თქმით, პანდემიიდან გამომდინარე, აღნიშნული დროებით შეჩერებული იყო. ასევე, სკოლაში იყო დამატებითი სავალდებულო სასკოლო კურსები, მაგ: ვისაუბროთ ინგლისურად და გარემოს მონიტორინგის გუნდი.
ექსპერტმა, სერგო დურგლიშვილმა ისაუბრა დაწესებულების მატერიალურ რესურსზე. მისი თქმით, სკოლის მეორე კორპუსში ვიდეო კამერები არ იყო განთავსებული ვიზიტის პერიოდში, მაგრამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა ვიდეო კამერების დამონტაჟების ხელშეკრულება. ექსპერტმა დაამატა, რომ მიღება-ჩაბარების აქტით დაწესებულებას უფიქსირდებოდა 10 ვიდეო კამერა და ჩამწერი მოწყობილობა.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ, ასევე ისაუბრა დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას სრულყოფილად არ ჰქონდა წარმოდგენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები, თუმცა ექსპერტის თქმით, სკოლას დაწყებული ჰქონდა აღნიშნულთან დაკავშირებით მუშაობა.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებით და დაინტერესდა, თუ როგორი იყო მათი საათობრივი დატვირთვა.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ სკოლას ჰყავდა 165 მასწავლებელი, რომელთაგან 30 მასწავლებელთან  გაფორმებული ჰქონდა მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება, 119 იყო უფროსი სტატუსის მქონე მასწავლებელი, ხოლო 15 იყო წამყვანი სტატუსის მქონე მასწავლებელი. ექსპერტ, ნოდარ ანგურიძის განმარტებით, სკოლას მოწვეული მასწავლებლების საათობრივ დატვირთვასთან დაკავშირებით ჰქონდა ხარვეზები, რადგანაც 9 საათზე მეტი იყო მათი კვირეული დატვირთვა. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ ვიზიტის შემდგომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნული უკვე გამოსწორებული იყო.
სკოლის დირექტორმა, დავით კახნიაშვილმა განმარტა, რომ სკოლის მეორე კორპუსში 5 კამერა ფუნქციონირებდა ვიზიტის პერიოდში, მაგრამ ექსპერტების რეკომენდაციის შემდეგ კიდევ 10 კამერა დაემატა. მან ასევე დაადასტურა, რომ 264 თანამშრომლის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობა ჰქონდა გამოთხოვილი და პერსონალი არ იყო ნასამართლევი. ასევე სკოლის წარმომადგენელმა ისაუბრა საათობრივ ბადეზე და აღნიშნა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ჰქონდა სკოლას აღნიშნული შეთანხმებული. მისი თქმით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ რჩევა მისცა დაწესებულებას, რომ საბუნებისმეტყველო საგნების ინტეგრირებული პროგრამა დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებაში გაეტანათ.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რა შედეგები ჰქონდა სკოლას ფიზიკა-მათემატიკაში ოლიმპიადებზე და როგორ ზომავდნენ მათ წარმატებულობას.
სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მათ ჰყავდათ ერთი მოსწავლე, რომელმაც ოლიმპიადის მესამე ტური გადალახა და წამყვანი ადგილი დაიკავა. ასევე, მისი თქმით, მოსწავლეთა გარკვეულმა ნაწილმა ამ მიმართულებით გააგრძელა სწავლა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აქვე მან დაამატა, რომ სკოლა დამეგობრებული იყო გერმანიის კერძო სკოლების ასოციაციასთან და მათ მიერ ჩატარებულ ოლიმპიადაზე სკოლის მოსწავლეებს ჰქონდათ მონაწილეობა მიღებული.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ დააზუსტა დაწესებულების წარმომადგენელთან, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას დამატებითი კლასგარეშე სამუშაოები გამორჩეული ბავშვებისთვის რომელიმე საგანში. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ ჰქონდათ დამატებითი წრეები, მაგრამ პანდემიის გამო ძირითადად ონლაინ მიმდინარეობდა სწავლება და ეს წრეები გარკვეულ შედეგს არ  იძლეოდა
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, მათემატიკის წრეზე გაძლიერებული მათემატიკური კლასებიდან იყვნენ მოსწავლეები თუ სხვა კლასებიდანაც შეეძლოთ დასწრება. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათემატიკურ წრეზე სურვილის მიხედვით ა შეეძლო ნებისმიერ მოსწავლეს დასწრება.
ექსპერტმა, სერგო დურგლიშვილმა დაამატა, რომ მათემატიკის თვალსაზრისით სკოლას სწორი ნაბიჯები ჰქონდა გადადგმული, რომელიც ამ მიმართულებას კიდევ უფრო განავითარებდა.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ კითხვით მიმართა ექსპერტ, სერგო დურგლიშვილს, გაეცნო თუ არა მათემატიკის სახელმძღვანელოებს, რომლითაც ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებულ სექტორში სწავლობდნენ მოსწავლეები. ექსპერტის თქმით, მას არ ჰქონდა ინფორმაცია ლიტერატურის შესახებ, მაგრამ ინტერვიუდან გამომდინარე დაასკვნა, რომ ამ სექტორის მოსწავლეებს გააზრებული ჰქონდათ სად სწავლობდნენ.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა  იკითხა თუ როგორ ხდებოდა ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებულ სექტორში მოსწავლეთა მიღება, ა . ექსპერტმა, სერგო დურგლიშვილმა განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა ამ სექტორზე მისაღები გამოცდები, რომლის ჩაბარების შემთხვევაშიც ხვდებოდნენ მოსწავლეები აღნიშნულ სექტორში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდათ განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 1886 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 20 ივლისის N42 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 20 ივლისიდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 20 ივლისიდან.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1886 - ით განსაზღვრის საკითხი.
**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესს (ს/კ: 211360141) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1886 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 20 ივლისი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.
დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:45 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა